საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030158571920419

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/14751 **16 / აგვისტო / 2019 წ.**

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი N4/65584 წერილი, რომელიც შეეხება 01.12.2011-03.12.2018 პერიოდში, ერთი მხრივ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (უფლებამონაცვლე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“)), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) და მეორე მხრივ, შპს „ჯეო ჰოსპიტალსს“ (ს/კ 404907730) (შემდგომში „მყიდველი“) შორის 2011 წლის 15 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით (09.11.2011 წელს, 18.07.2012 წელს და 21.08.2013 წელს დაიდო ცვლილების ხელშეკრულება) ნაკისრი ვალდებულებების დადასტურების საკითხს.

როგორც მოგეხსენებათ, 2011 წლის 15 სექტემბერს, ერთი მხრივ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (,,გამყიდველი“), შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (,,სამინისტროს“) და მეორე მხრივ შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსს“ (,,მყიდველი“) შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მყიდველს ხელშეკრულების მუხლი 2-ით განსაზღვრულ ფასად გადაეცა დანართი 1-ით განსაზღრული ქონება. ამასთან აღნიშნული ქონება გადაეცა ხელშეკრულების 3.1.7 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, რაც გულისხმობდა: „უზრუნველყოს დანართი N5-ით გათვალისწინებული ბაზისური სერვისების უწყვეტობა ჭიათურის, ზესტაფონის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, სამტრედიის, ბაღდათის, გურჯაანის, საგარეჯოს, დუშეთის, ყაზბეგის, მცხეთის, თიანეთის, ბორჯომის მუნიციპალიტეტში შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გარდამავალი პერიოდის დასრულებიდან 7 წლის განმავლობაში და დანართი № 5-ში განსაზღვრული სპეციფიური პირობების გათვალისწინებით და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით.

ამასთან, ამავე პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება ვანის, ხონის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებში უზრუნველყოს მხოლოდ დანართი N5-ის პირველი პუნქტის შესაბამისად“ (სოფლად პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების უზრუნველყოფა 2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დასაწყისიდან შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დასრულებამდე). საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის № 218 დადგენილების შესაბამისად შექმნილი ,,სამედიცინო რაიონების მიხედვით ვაუჩერის ფასის დადგენის, მზღვეველი კომპანიის გამოვლენისა და კონკურსის შედეგად გამოვლენილი მზღვეველის ან ამხანაგობის მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულებისა და ასევე, პროგრამის ზედამხედველობის მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის“ 2013 წლის 28 დეკემბრის № 13 სხდომის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად“ კომპონენტის ფარგლებში სოფლის ექიმის/ექთნის მომსახურების მიწოდების სერვისის სახელმწიფო მართვაში გადაცემის თაობაზე (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 იანვრის № 89 დადგენილება). შესაბამისად, აღნიშნული თარიღიდან ჯეო ჰოსპიტალს ვანის, ხონის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების დაწესებულებებში აღარ გააჩნია დანართი N5-ის პირველი პუნქტით განსაზღვრული სერვისების შესრულების ვალდებულება.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის N302 განკარგულების შესაბამისად, 2015 წლის 20 აპრილს, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრსა“ და შპს „ჯეო ჰოსპიტალსს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრს“ გადაეცა ბორჯომის (დაბა ბაკურიანი), ყაზბეგის (დაბა სტეფანწმინდა), თიანეთის (დაბა თიანეთი), თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტებში მოქმედი სამედიცინო ცენტრების უძრავ-მოძრავი ქონება და 2015 წლის 20

აპრილიდან აღნიშნული სამედიცინო დაწესებულებები ფუნქციონირებს შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ფარგლებში.

შპს ,,ჯეოჰოსპიტალისის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, კერძოდ, ბაზისური სერვისების უწყვეტობის ვალდებულების შესრულების შესახებ ინფორმაცია უკვე მოგეწოდათ 2017 წლის 20 იანვრის N01/3225 წერილით, ვალდებულებების დასაწყისიდან 2016 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით პერიოდისთვის. ამჟამად, წარმოგიდგენთ ბაზისური სერვისების უწვეტობის ვალდებულების შესრულების შესახებ ინფორმაციას 2016 წლის 16 სექტემბრიდან 2018 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით.

როგორც ზემოაღნიშნულ წერილშია მითითებული, იმისათვის, რომ ვალდებულებით განსაზღვრული სერვისების მიწოდება ჩაითვალოს შესრულებულად, სერვისის მიმწოდებელი, ხელშეკრულებით განსაზღვრული ბაზისური სერვისების წარმოების ვადის ფარგლებში, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) პირველ რიგში, უნდა გააჩნდეს განსაზღვრული სერვისის წარმოების უფლება, რისთვისაც, სამედიცინო საქმიანობის სპეციფიკის შესაბამისად, უნდა ჰქონდეს: ან სტაციონარული დაწესებულების ნებართვა და თუ საჭიროა, შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სანებართვო დანართი; ან საქმიანობის ლიცენზია; ან შეტყობინება მაღალი რისკის შემცველი ამბულატორიული საქმიანობის წარმოების თაობაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ბაზისური სერვისებიდან, შესაძლებელია, ზოგიერთი სერვისების წარმოება არ მოითხოვდეს ლიცენზიის/ნებართვის ან შეტყობინების არსებობას.

როდესაც ჩვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაშიაღნიშნულია ლიცენზიის, სტაციონარული ნებართვისა და ნებართვის დანართის ან მაღალი რისკის ამბულატორიულ საქმიანობაზე შეტყობინების არარსებობა, ნიშნავს, რომ სერვისის მიმწოდებელს (,,მყიდველს“) ვალდებულების შესასრულებლად სჭირდებოდა შესაბამისი უფლების ქონა, მაგრამ სამინისტროს უფლებამოსილი უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით არ დასტურდება „მყიდველის“ მიერ შესაბამისი ბაზისური სერვისის შესრულების ის ლეგალური საფუძვლები, რაც უკავშირდება კონკრეტული ბაზისური სერვისის წარმოების უფლებას.

ბ) სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, უწყვეტად უნდა ახდენდეს ბაზისური სერვისების ნუსხით გათვალისწინებულ მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულებაში მითითებულ მუნიციპალიტეტ(ებ)ში.

როდესაც ჩვენს საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებელ უწყებებშიარ ფიქსირდება ინფორმაცია სერვისის მიმწოდებლის (,,მყიდველი“)მიერ ბაზისური სერვისების შესრულების შესახებ საანგარიშო პერიოდში, ეს ნიშნავს, რომ სამინისტროს არ შეუძლია დაადასტუროს„მყიდველის“ მიერ შესაბამისი ბაზისური სერვისის მიწოდების ვალდებულება აღნიშნულ პერიოდში, მიუხედავად იმისა, ფლობდა თუ არა იგი საქმიანობის წარმოების უფლებას.

1. ტუბერკულოზის მართვა

საქმიანობის ნებართვა: სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში არსებული ინფორმაციით, შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ არც ერთ მუნიციპალიტეტში არ ფლობს სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების ნებართვის სანებართვო დანართს „ფთიზიატრიულ მომსახურებაში“. მას, ასევე, არ გაუკეთებია შეტყობინება ფთიზიატრიაში ამბულატორიული საქმიანობის დაწყების შესახებ მცხეთის მუნიციპალიტეტში შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ კუთვნილებაში მყოფ სამედიცინო დაწესებულებაში, ხოლო დანარჩენ მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულია, როგორც ამბულატორიულად ფთიზიატრიული სერვისის მიმწოდებელი, რადგან ფთიზიატრია, როგორც მაღალი რისკის შემცველი საქმიანობა ამბულატორიულად, საჭიროებს შეტყობინებას შესაბამის უწყებაში. რაც შეეხება გურჯაანის მუნიციპალიტეტში განთავსებულ სამედიცინო დაწესებულებას, შეტყობინება ფთიზიატრიაში საქმიანობის დაწყების შესახებ გაკეთდა 20.09.2011 და გაუქმდა 27.07.2012.

სახელმწიფო პროგრამები: შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ კუთვნილებაში მყოფი მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული სამედიცინო დაწესებულება 01.10.2011-დან 3.12.2018 არ მონაწილეობდა ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის შესრულებაში. შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ გურჯაანში არსებულ დაწესებულებაში მხოლოდ 01.10.2011-დან 01.07.2012-მდე ახდენდა ტუბერკულოზის მართვისათვის საჭირო სერვისების მიწოდებას, დანარჩენ დროს (01.07.2012 – 31.03.2018) არ მონაწილეობდა ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის შესრულებაში.

2. ინფექციური დაავადებების მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

საქმიანობის უფლება: სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში არსებული ინფორმაციით, სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების ნებართვის სანებართვო დანართს „ინფექციური დაავადებების მკურნალობა“ - შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ ფლობს ყველა მუნიციპალიტეტში. შესაბამისად, მას გააჩნია აღნიშნული საქმიანობის წარმოების უფლება როგორც სტაციონარულად, ისე ამბულატორიულად ერთი და იგივე მისამართზე.

როგორც მაღალი რისკის სამედიცინო საქმიანობა, ამბულატორიულად განხორციელებული ინფექციური საქმიანობა საჭიროებს შეტყობინებას შესაბამის უწყებაში. შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ შეტყობინება (სხვა მისამართზე) ინფექციურ დაავადებათა მკურნალობასთან დაკავშირებით,

დამატებით, გაკეთებული აქვს ზესტაფონის (12.11.2012), საგარეჯოს (29.09.2011) და მარნეულის (01.10.2015 -15.07.2017) მუნიციპალიტეტებში.

სახელმწიფო პროგრამები: შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ, 2017 წლის 1 მარტიდან - 2018 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით, ბაღდათის, დუშეთის, სამტრედიის, ჭიათურის მუნიციპალიტეტებში არ ფიქსირდება ინფექციური დაავადებების მართვის სახელმწიფო პროგრამისა (2017 წლის 1 მარტი - 2017 წლის 31 დეკემბერი) და საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ინფექციური დაავადებების მართვის კომპონენტის (2018 წლის 1 იანვარი-2018 წლის 3 დეკემბერი) მიმწოდებლად, ამასთან,საყოველთაო ჯანდაცვის გეგმური ამბულატორიის კომპონენტი 2017 წლის 1 მარტიდან აღარ ითვალისწინებს ექიმ-ინფექციონისტთან ვიზიტს და შესაბამისად, გეგმურ ამბულატორიაში მონაწილეობა ვერ ჩაითვლება ბაზისური სერვისის შესრულებად. 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით, ზესტაფონის, მარნეულის, მცხეთის მუნიციპალიტეტებში არსებული სამედიცინო დაწესებულებები არ მონაწილეობდნენ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ინფექციური დაავადებების მართვის კომპონენტის შესრულებაში. შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ გარდაბნის დაწესებულება 2017 წლის 1 მარტიდან - 2017 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით, არ ფიქსირდება ინფექციური დაავადებების მართვის სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებლად.

3. სამედიცინო ტრანსპორტირება და სასწრაფო სამედიცინო მომსახურება

საქმიანობის უფლება: სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში მიმართვის საფუძველზე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების საქმიანობის ლიცენზია შპს ,,ჯეოჰოსპიტალსმა“ გააუქმა 2014 წლის 21 მაისს. 2014 წლის 20 მაისიდან შპს „ჯეოჰოსპიტალსს“ ჰქონდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების საქმიანობის ლიცენზია მხოლოდ ერთ მისამართზე: ფოთი, ნავსადგურის სარეჟიმო ტერმინალი, რომელიც გააუქმა 31.08.2015.

სახელმწიფო პროგრამები: ,,სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების“ სახელმწიფო პროგრამის ,,სამედიცინო ტრანსპორტირების“ კომპონენტის ფარგლებში, მიმწოდებელთა ჩამონათვალში არ ფიქსირდება შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ ჭიათურის, ზესტაფონის, გარდაბანის, მარნეულის, სამტრედიის, ბაღდათის, გურჯაანის, საგარეჯოს, დუშეთის, ბორჯომის და მცხეთის მუნიციპალიტეტებში არსებული სამედიცინო დაწესებულებები და მათ მიერ გაწეული მომსახურება 2016 წლის 16 სექტემბრიდან 2018 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით.

რაც შეეხება 2012 წლის 18 ივლისის ხელშეკრულების ცვლილებაში წარმოშობილ ახალ ვალდებულებას - გარდამავალი პერიოდის დასრულებიდან 7 წლის განმავლობაში უზრუნველყოს საჩხერის მუნიციპალიტეტში სასწრაფო სამედიცინო სერვისის უწყვეტობას - შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი“ 2011 წლის 1 დეკემბრიდან 2014 წლის 1 მარტამდე ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას (საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ,,სასწრაფო სამედიცინო დახმარების“ სერვისის 2014 წლის 17 თებერვლიდან სახელმწიფო მართვაში გადაცემის თაობაზე (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 იანვრის №89 დადგენილება)).

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური